საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-632

17/07/2020

ქ. თბილისი

„შპს „კენტავრი და კომპანია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 6 ივლისის №ი-357 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 10 ივლისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ცენტრ ლაინის“ დირექტორმა და ითხოვა 2009 წლის 6 ივლისის №70 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „კენტავრი და კომპანიის“ ასფალტის წარმოებაზე (ქ. ახალციხე, სოფ. ივლიტის მიმდებარე ტერიტორია) გაიცა №70 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

2015 წელს შპს „კენტავრი და კომპანიას“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და იგი ჩამოყალიბდა შპს „ცენტრ ლაინის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქმიანობა შეწყვეტილია და საწარმო 2009 წლიდან არ ფუნქციონირებს. მოხდა დანადგარების დემონტაჟი. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა ითხოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

შპს „ცენტრ ლაინის“ დირექტორის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „კენტავრი და კომპანია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 6 ივლისის №ი-357 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ცენტრ ლაინს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ცენტრ ლაინის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი